ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება
G E O R G I A
THE ORDER OF THE ASSEMBLY OF MESTIA MUNICIPALITY

განკარგულება:**g-135. 135223635**
თარიღი:**29/12/2022**

მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის აღნაგობის უფლებით შპს „ბიგბორდისთვის“ გადაცემის თაობაზე მესტიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 54–ე მუხლის 1–ლი ნაწილის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 122–ე მუხლის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის საფუძველზე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1.მიეცეს თანხმობა მესტიის მუნიციპალიტეტის მერს, სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით, 2 (ორი) წლის ვადით გადასცეს შპს „ბიგბორდს“ (ს/ნ: 405182305), მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაბა მესტიაში, თამარ მეფის ქუჩა N19-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ: 42.06.42.133) კომერციული საქმიანობის განსახორციელებლად.
2.წლიური აღნაგობის საფასური განისაზღვროს 0.79 ლარით ერთი კვადრატული მეტრისთვის.
3.მიღებული განკარგულება გადაეგზავნოს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიას.

4.განკარგულება ძალაში შევიდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54–ე მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად.

5განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში. (მისამართი: ქ.ზუგდიდი გრ.ქობალიას ქ №12ᵃ).

მაიზერ ჯაფარიძე

გამოყენებულია კვალიფიციური

დ. მესტია/T. MESTIA. სეტის მოედანი #1/SETI SQUARE #1 ტელ: +995 599 85 55 40
ელ. ფოსტა: MESTIASAKREBULO@GMAIL.COM ვებგვერდი: WWW.MESTIA.GOV.GE